

რედაქცია

გაზეთის პრინტირება. თბილისი, მთიანეთის ქუჩაზე.

ხალის-მოწერა

ქუთაისში, „დროება“ ივერიის რედაქციაში. თბილისში, „დროება“ ივერიის რედაქციაში.

„დროება“-ივერიის ფასი

წელიწადში 6 თვეს შიგნით

დროება და ივერიის ერთად 14 მან. . . 8 მ. . . 5 მ. . . 3 მ. . . 2 მ.

დროება

გამოცემის უმჯობესი-დროებას გარდა

ფასი განსაზღვრისა

დროება და ივერიის ერთად 14 მან. . . 8 მ. . . 5 მ. . . 3 მ. . . 2 მ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსჯის და შეამოწმებს დასაბუთებულ განცხადებებს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ცალკე ნომრები

„დროებისა“

თფილისში ისყიდება: შავერდოვის ბაზრის სააგენტოში, ახალთაში და თბილისში.

ქუთაისში ივ. ნიკოლაძის და შვილების მოდის მაღაზიაში და ბერძენის წიგნის მაღაზიაში.

ამას გარდა შოთი-თფილისის რკინის გზის ვაგონებში კანდუქტორებთან.

ტელეგრაფები

(ხალხთა შორის სააგენტოები)

კაბინეტურად, 9 თებერვალს. გაზეთის „Agence Russe“-ში დასტავდა შემდეგი ამბები: ა) ზოგადად გუბერნიებში, სადაც შემშლადობა, ხელმწიფე იმპერატორის საკუთარი ფაქტობრივი ადგილი იქნება გავსაზრდოვანი და მშვეულებისთვის შემწეობის დასარაგებლად; ბ) ბუკდვის განხილვის ახალი ცვლილება უნდა ქვეყნების წიგნებისა და უწყისა-გაზეთების ცნობის შესახებ.

კაბინეტურად, 9 თებერვალს.

(„ხალხთა შორის სააგენტოები“)

Table with 2 columns: Name of the telegraph office and the amount in man and kopecks.

„დროების“ ფელტონი, 11 თებერვალი.

თეატრის მათინი.

„უოზუქ ზარეული კინტო.“ კომედია ორს მოქმედებად.

„შოზუქზედ“ ლაპარაკი კოტად დამიგვიანდა. ეს პიესა წარმოდგენილი იქნა ჩვენ სცენაზე საფაროვის ქალის ბენეფისისათვის, რომელიც ლაპარაკი ვერ მომიხდა. არცა ენობ, სწორედ ვითხრათ: საფაროვის ქალმა, რომლის როლზედ მთელი პიესა არის მომართული, ამ უკანასკნელ წარმოდგენაში (8 თებერვალს) უფრო კარგად, უფრო ხელოვნურად აღასრულა თავისი როლი, ვიდრე თავის ბენეფისში, და მით მეტ უფრო ხალისიანად ეკიდებ ხელს „შოზუქის“ წარმოდგენის განხილვას. მართლაც, ვაგიტყდებით, მე, როგორც თეატრის

Table with 2 columns: Name of the telegraph office and the amount in man and kopecks.

ბასპის ვაგონები.

ტფილისი, 10 თებერვალს.

ამ სამი კვირის წინათ „დროების“ მეთორმეტე ნომერში დაბეჭდილი იყო მართლიდამ მიღებული კორექტივები, რომლის ავტორი გვაცნობდა, რომ ბასპის ახალურს მიცვალეულს მარუმიძეს, ამბობენ, ვითომ რაღაც ნივთები დაეკარგა და ამის გამო ბორის მახრის უფროსის თანამშრომელ ბ. ბანსეიჩმა „ზეკუტია“ ჩაუყენა მთელს სოფელსა.

პი ნამდვილი სიტყვები ჩვენს კორექტივებში:

„ჩაუყენეს მთელს ბასპის გლეხ-გლეხებს ასი კაცი ოსი „ზეკუტია“-ქუდები იზოკეთა. სამს დღეს და დამეს დაწახსკეყნა. ისე განადგურეს უიმისათვის მიწასთან გასწორებული გლეხ-გლეხები, რომ სწორედ დაძაანს ეგონებოდა დაღისტნის ლეკები შემოსევიანო.

მემატიანეს, ჯერ ისეთი სიამოვნებით არ ამიღია ხელში კალამი, როგორც ვიღებ ამ ჟამად, როდესაც ვიწყებ ლაპარაკს „შოზუქის“ წარმოდგენაზე და საკუთრივ საფაროვის ქალის თამაშობაზე. „შოზუქის“ წარმოდგენის თაობაზედ შემძლიან ვთქვა თამაშად თეატრში ვიყავი მეთქი, სადაც ვიყავი კოტადი მინც სათეატრო ხელოვნება და ნამდვილი სცენის შესაფერი თამაშობა.

ჯერ თვითონ პიესაზედ უნდა მოგახსენოთ რამდენიმე სიტყვა „შოზუქი“ იმ პიესათგანია, რომელიც იწერებინ არა იმისთვის, რომ ხელოვნურად გამოხატონ ცხოვრების სინამდვილე; ამ პიესებში ვერ მოძებნება ხელოვნებითი სიმართლე. იგინი იწერებინ განვებ იმ განზრახვით, რომ მაყურებელმა შეიტყოს ესა და ეს ქადაგება, ესა და ეს დარიგება. მთელი პიესა თავიდან ბოლომდე

„დაევიწყეს მსოფრედებს: ქათამს, ზურს, ღვინოს, ქვს და ბესს სულ ტუტა ადინეს. ვისაც კი ცოტადქნი მოეპოვებოდათ მამასისხად აღებულის კვლით ნაყიდი, სულ ამათ გავიდა და გლეხები დაწინეს შირ-დაღებულები.

„ამას გარდა ვის სასწამად ვერას იზოვიდნენ სასმელ-საჭმელსა, უწყალოდ უშენდნენ თავსა და შირში მამაგვებსა და დედაგვებს: „ჩქარა მოგვიტანეთ!“ და სხვ. („დროება“, № 12).

როგორც ზევით მოგახსენეთ, სამი კვირა ვაეიდა მას აქეთ, რაც ეს ამბავი იყო ჩვენს ვაგონში დაბეჭდილი და ადგილობრივ ადმინისტრაციას არავითარი პასუხი და ცნობა არ გამოუგზავნია ჩვენთვის, არ გაუმტყუვნებია ნამდვილია ეს ამბავი, თუ ვაზვიადებული. მისაც კი ვკითხეთ ადგილობრივ გარემოების მცნობით, ყველამ გვითხრა, მართალიაო. მხოლოდ ერთი პირისაგან მივიღეთ ცნობა, რომ ასი ოსი კი არ იყო ზეკუტიათ ჩაყენებული, არამედ მხოლოდ ათიო, და სამი დღე კი არ დარჩენილან, დილით მოვიდნენ და მეორე საღამოს წავიდნენო.

ამ ნაირად, ადგილობრივ ადმინისტრაციის სირიუმე და გარემე პირთაგან მიღებული ცნობანი ჩვენ გავრწმუნებენ, რომ სოფ. ბასპში „ზეკუტია“ ყოფილა ჩაყენებული. საქმე იმაში როდია, ათი კაცი იყო, თუ ასი; არც იმაში—სამს დღეს იყვნენ, თუ ორს. საქმე იმაშია, რომ ქურდების მოსაძებნელად ადმინისტრაციამ სოფლის ხალხს ზეკუტია ჩაუყენა.

პირ-და-პირ ვამბობთ, რომ ბორის

ამ დარიგების კვალობაზედ არის ხოლომე გამოჭრილი. ავტორი აყენებს რომელსაზე მომქმედ პირს ამა და ამ მდგომარეობაში, არა იმიტომ რომ ეს მდგომარეობა ასლად შეეფერება მის შინაგან თვისებას, ან არა იმიტომ, რომ ამ მდგომარეობაში მისი ხასიათი უფრო ნათლად, უფრო ცოცხლად გამოიხატება მაყურებლის წინაშე. არა, ავტორს წინააღმდეგ აქვს განზრახული ესა და ეს ქადაგება; წინააღმდეგ აქვს განზრახული აგრეთვე ის შთაბეჭდილება, რომელიც უნდა აწარმოვას მისმა თხზულებამ მაყურებელზედ. ამიტომ ავტორი აყენებს მომქმედ პირს სწორედ იმ მდგომარეობაში, რომელიც საჭიროა მის (ავტორის) წინააღმდეგ განზრახულ დარიგებისა და ქადაგებისათვის. რა ურთიერთობა სუფევს მომქმედის პირის ხასიათისა, შინაგან თვისებისა და მის ამა-და-ამ მდგომარეობის შორის. ამი-

ადმინისტრაცია ამ შემთხვევაში უკანონო მოქცეულა.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, ეგზეკუციის ჩაყენების უფლება ადმინისტრაციას, (ისიც უმაღლესის მთავრობის ნება-რთვით) მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც მთავრობას აშკარა წინააღმდეგობას გამოიჩინეს ხალხი, როდესაც არეულობა, უწყობა მოხდება სადმე, როდესაც ერთი სიტყვით, ხალხი არ ემორჩილება მთავრობის განკარგულებას.


ეგზეკუცია ერთი უმძიმესი დასჯაა ხალხისა. მჯანში ჩაუდგებიან, არბევინ ხალხს, რაც მოეწონებათ, იტაცებენ და სჭამენ და სმენ. ზნობით შეწუხებასა და შევიწროებას ზედ ერთვის მატერიალური, ნივთიერი დასჯა.

ამისთანა მძიმე სასჯელს მთავრობა, რასაკვირველია, ყოველ უბრალო შემთხვევაში არ იხმარდა და არც ხმარობს. ძანონით განსაზღვრულია—რა-და-რა შემთხვევაში უნდა ჩაყენოს სოფელში, უფელში ან გუბერნიაში ეგზეკუცია. ჭურდობისათვის ეგზეკუცია, რაღა თქმა უნდა, ამ გვარ შემთხვევებს არ ეკუთვნის. ჭურდობისათვის წინასწარი გამოძიების მოხდენა პოლიციას შეუძლიან, შემდეგ საქმე სასამართლოს, გამოძიებულს უნდა ექნეს გარდაცემული და სასამართლოს საქმეა—აღმოაჩინეს ქურდს, დამნაშავეს, თუ არა.

თქვენ წარმოიდგინეთ—რა გამოვა, რა იქნება, რომ ყოველთვის, როდესაც ვინმეს სოფელში ორი-სამი მანეთის, ან ესთქვით ორასი-სამასი თუმ-

სი ავტორს ბერი არა ენადვლება-რა.

რასაც მომქმედ პირთა მდგომარეობაზედ ვამბობ, ითქმის აგრეთვე მათ ლაპარაკზედაც. ავტორი სწორედ იმ სიტყვებს ათქმევინებს მომქმედ პირთ, სწორედ იმას ალაპარაკებს, რაც საჭიროა წინააღმდეგ განზრახულ შთაბეჭდილებისათვის. რაც შეეხება სცენის გარეგან მოწყობილობას და სასცენო სხვა-და-სხვა საშუალებებს, რომელიც აგრეთვე შემოხსენებულ შთაბეჭდილებაზედ არიან გამოჭრილნი,—ამისათვის არას ზოგადად ავტორი, ყველაფერს ჰკიდებს ხელს, რაც კი რამ საგრძნობელია მაყურებლის ძარღვებისათვის. ამ გვარად არიან მომართულნი მრავალი ესრედ წოდებული მელიოდრამები, რომელთაც დღე და დღე ადვილი ეკარგებათ აწინდელ რეპერტუარში. შემოხსენებული თვისება, რასაკვირველია, ერთგვარად არ



ნისაც, საღირსალი რამ დაეკარგება, პოლიციამ მთელს სოფლის ხალხში ეგზეკუტია ჩააყენოს და ამ საშუალებით მოინდომოს საქმის გამოძიება და დამნაშავეის პოვნა! სადაური წესი, რომელი კანონი იქნება ეს? სად გაგონილა მთელი სოფლის მცხოვრებლების ასე სასტიკად დასჯა ერთის ქურდის წყალობით? ხშირად ხო ისიც შეიძლება, რომ ქურდი სრულგებობა იმ სოფლისა არ იყვის, სადაც ნივთი ან საქონელი დაიკარგა, — და მაშინ მთელი ეს უმანკო სოფელი რად უნდა ისჯებოდეს?

იმედი გვაქვს, რომ უმაღლესი მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და სასტიკ გამოძიებას მოახდენს ძაპის ეგზეკუციის თაობაზედ.

ახალი ამბები

პეტერბურლის ერთს ფრანკულულ გაზეთში იწერებინან, რომ პროვინციალური ქურდულ-გაზეთები ცენზურად განთავისუფლებული არ იქნებიანო.

ბევრი სხვა-და-სხვა ამბები იწერება ამ საგნის შესახებ რუსულ გაზეთებში; მაგრამ დასაჯერებელი ჯერ არც ერთი არ არის. ნამდვილსა და სარწმუნო ცნობებს ამ მძიმე საქმეზედ ჩვენ მხოლოდ ოფიციალურის გაზეთებიდან უნდა მოველოდეთ.

მ. ფიციალურად გამოცხადებულია სახალხო განათლების მინისტრის განკარგულება, რომლის ძალითაც რეალურ სასწავლებელში (გიმნაზიებში) კურს-შესრულებულ ყმაწვილ-კაცებს უნივერსიტეტის მათემატიკურ და ბუნებით მეცნიერების ფაკულტეტებში შესვლის ნება მიეცემათ.

რალა თქმა უნდა, რომ ეს ყოველად-გონიერი და ყველასთვის სასიამოვნო განკარგულებაა და ბევრი ყმაწვილი კაცი მადლობას შესწირავს

ამისთვის სახალხო განათლების ახალს მინისტრს ბ. საბუროვს.

ახალ-სენაკი დამ გვწერენ, რომ რევიზორის მოსვლის წინა დღეებში დიდი ფაცა-ფუცი და მოძრაობა იყო აქაურს მზრის სამმართველოსა და მამრიგებელ სასამართლოში. მითქმის მთელი დამეები არ ეძინათ ჩინოვნიკებს; კანცელარიებში ისხდნენ, რიგზე მიჰყავდათ საქმეები; ხალხს იბარებდნენ, ყველას ტკბილად ეყრებოდნენ და სხვ. მითა პოლიციის პრისტავმა მამასახლისები დიბარა და დაარბიო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ხალხი, რა უნდა ეთქვათ, როდესაც რევიზორი რასმე ჰკითხავდა იმათა და სხვ. თავის დღეში გაუწმენდელი ახალ-სენაკის ქუჩები რევიზორის მოსვლის წინათ გასუფთავეს, დაჰგავსო და სხვ.

ამნაირად, ამბობენ, ერთ-ორი საჩივრის გარდა, ხალხს არავითარი უკმაყოფილება არ გამოუცხადებია აღმინისტრაციასზედ. შეშინებულმა ხალხმა ვერ გაბედა ჩივილიო...

შოთილამ გვწერენ რომ ამ უკანასკნელ რამდენიმე დღის განმავლობაში ისეთი ავდრები დაგვადგა, რომ თითქმის ხალხი გარეთ ვერ გამოსულაო. მხოლოდ კლუბში ატარებენ დროებას და რამს შეეკცევიანო. ჩვენს ქალებსაც როგორღაც თავის ჩვეულებრივი ლოტო დაავიწყდათო.

„დროების“ კორექსიონი

მუთისნი, 7 თებერვალს. დღეს გამოგვეთხოვა ყველასგან პატივისცემის ღირსი ჩვენი გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ბ. მარსოვი და გაემზავრა ბაქოსაკენ, სადაც არის გადაყვანილი დირექტორობისავე თანამდებობაზე მის-და უნებურად.

დიდად სამწუხარო გასაგონი იყო მისი გადაყვანის ამბავი ყველა იმ პირ-

თა-თვის, ვინც მას იცნობდა და ვინც ჩვენი სახალხო სკოლების კეთილი სურდა. ბ. მარსოვი დანიშნა მუთისის სახალხო სკოლების დირექტორად შემდეგ ტროიეს დათხოვნისა. ჩვენი ხალხის განათლების საქმე არ უნდა ჰქონოდა მინდობილი მისთანა მოხუცებულ და სწულ კაცებს, როგორც იყო ბ. ტროე; მაგრამ რადგან პენსიის დრო არ ჰქონოდა მას შესრულებული, ამისათვის დარჩა იმდენი ხანი. მადლობა ღმერთს, ეს დრო მალე შეუსრულდა მას, თორემ კიდევ არ დაითხოვდნენ.

ბ. მარსოვი დიდი ხანი არ არს აქ დირექტორათ; მაგრამ ამ ცოტა ხანში არც-ერთ მოსამსახურებს ჩვენში არ დაუმსახურებია საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა.

მაინც-და-მაინც მას მისანა შესანიშნავი არაფერი ჩაუდენია ხალხის განათლების საქმეში; მაგრამ ორი წლის განმავლობაში ბევრი არაფერი შეიძლებოდა, მოგვეხროვა მისგან.

მაშ რით დაიმსახურა იმან საზოგადოების ყურადღება? მკითხვეთ თქვენ. აი რით: ის თავის ხელქვეშე მასწავლებლებს ექცეოდა მამა-შვილურად; ყველანი მას უყურებდნენ მამასავით. სწავლის საქმეს უყურებდა პედაგოგიურის მხრით. პოლიტიკური მხარე პედაგოგიაში, რომლითაც სხვა დირექტორები აღკურვილნი არიან თავიდან ფეხმდისინ, იმას არ ჰქონებია სახეში. იმის მიზანი იყო პედაგოგიური და არა სხვა.

თავისი ჰზრი და მიმართულება იმან აშკარად გამოაჩინა უკანასკნელ მასწავლებელთ შეკრბილებაზე მუთისში. დიდი გასაკვირველი საქმე კა არა ჩაუდენია-რა; მხოლოდ მასწავლებელთ გამოთქმულ ჰზრზე თანახმა გახდა. მისი ჰზრი და დათანხმება იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ სკოლებში ქართულ ენაზე ყოფილიყო სწავლება და რუსული ენის სწავლება დაწყებულიყო მესამე წლიდან. მე მგონია, ამ ჰზრის წინააღ-

მდგვი არ უნდა იყოს პედაგოგი; მაგრამ ჩვენი, საუბედუროდ, ჯერეთ ზოგიერთი ვაჭბატონები უკუღმასხდაან. ძლიერ გასაკვირველი იყო, რომ მან გაბედა წაღმა გამოთქმა ამ აზრისა, მაგრამ კარგა ფასად კი დაუჯდა ეს წაღმართიანი მსჯელობა!..

მრთი მიზნის ბ. მარსოვის აქედამ გადაყვანისა კიდევ ის იყო, როგორც სჩანს, რომ იმან ქართული იცოდა! ბაქოსაკენ კი არავინ ქართული არ იცის!..

ჩვენში დანიშნეს ვილაცა მარლოვი, რომელსაც ვილაცა ახმატელოვისა, თუ არუთინას შედგენილი წიგნი უყილია ქართული ენის შესასწავლად. ამ წიგნებით როდის ისწავლის ის ქართულს...

დიდის მწუხარებით გამოვთხოვენ ბ. მარსოვის მუთისში. მერილის სტანციაში დახედნენ მერილის ნორმალური სასწავლებლის მასწავლებლები და მიიპატიჟეს ზაკუსკახე. მველა ამ მასწავლებლებმა დიდი მწუხარება გამოუცხადეს მას მის მოშორებაზე. მრთმა მათგანმა უთხრა მას: „ესწუხვართ, რომ ღმერთმა არ ინება თქვენი აქ დიდხანს დარჩენა სამსახურში; მაგრამ მოხარული ვართ, რომ ამ მცირე ხანში დაიმსახურეთ თქვენ ამისთანა პატივისცემა საზოგადოებისა და მასწავლებელთა. სულით და გულით ვისურვებთ, რომ ყოველ მოსამსახურე, პირს, რომელიც გეშორდება ჩვენ და სხვაგან გადადის, მიუძღოდეს ის თანაგრძნობა, რომელიც თქვენ მიგიძღვისთ...“ და სხვ...

ბ. მარსოვმა მადლობა უთხრა მათ და სხვათა შორის თქვა: „ძლიერ ვსწუხვარ, რომ ასე მალე გეშორდები ამ მხარეს და არ მოეცა დრო, რომ ჩემი დაწყებული საქმის ნაყოფი მენხილა მევე. მსწუხვარ ამისთან, რომ ჩემი პარდაპირი შეხედულება საქმისა და პედაგოგიურ ჰზრზე დადგომა ზოგიერთებისაგან შეირაცხა წინააღმდეგ ჰზრად“...

იმქელი.

არის ჩართული ყველა მელოდრამაში; მეტ-ნაკლებობა და, მაშასადამე, ავ-კარგინობა აქაც არის.

მელოდრამებს ადგილი ეკარგებათ მეტქი აწინდელის დროის რეპერტუარში. პირველი ესა, რომ ცარიელი სიტყვიერი დარეგება არავითარი თამასუქი არ არის წარმატებისა. ბარდა ამისა შეიცვალა მხედველობა თეატრზედ და ამისთანავე შეიცვალა აგრეთვე საზოგადოების გემოვნებაც. მით-რის იმგვარივე ხელოვნებაა, როგორც მაგალითებრ მხატვრობა. ყველაზედ უწინარეს საზოგადოება ამ ორსავე ხელოვნებისაგან თხოულობს ცხოვრების სამართლეს, ცოცხალ ქეშმარიტებას. რაც შეეხება თვით ქადაგებას, აბა რა შეედრება სიმძლავრით იმ ქადაგებას, რომელიც ამ სიმართლებზედ და ქეშმარიტებაზედ არის მიმართული და დამყარებული?

„შოხეჭი“ მართალია მოკლებულია

იმ მელოდრამულ საშინელებას, რომელიც თავიდან ბოლომდე დასტორილებს მაგალითებრ „შომარბაზის ცხოვრებას“; მაგრამ მაინც მელოდრამული ძარღვი აქაც თვალ-საჩინოდ არის გამოჩნული.

„შომარბაზის ცხოვრებაში“ წამოყენებულია ადამიანის ცუდი ჩვეულება და მთელი ის საშინელი შედეგი, საშინელი თავ-გადასავალი, რომელიც აუცილებელივ მისდევს ამ შემდეგს. პეტორი ამით ეუბნება მაყურებელს — თუ ქაღალდის თამაშობას არ დაიშლი, შენც ეს ბოლო მოგვლისო. „შოხეჭი“ გამოყვანილია კეთილ-კაცობა, კაი-გულობა, რომელიც, რასაკვირველია ჰპოვებს თავის შესაფერჯალდას. ამით ავტორი ეუბნება ხალხს — შენც ასე მოიქეცი და შენც არ მოგაკლდება ჯილდოო. ბარდა ამისა „შოხეჭს“ ეტყობა დროთა ვითარებაც: „შოხეჭში“ მოქმედობენ

კეთილად და მშვიდობიანად მშრომელნი პირნი, რომელთაც ერგებათ ჯილდო და ნუგეში საფრანგეთის პერისაგან, სახელოვან ღენერლისაგან. ავტორი ამით ეუბნება მუშახალხს: გულს ნუ აიშფოთებო, მოთმინება იქონიეო, დიდებულთა მფარველობა არც შენ მოგაკლდებაო. ნაპოლიონური სოციალისტობაც ეს გახლავსო.

მრთის სიტყვით „შოხეჭი“, როგორც სალიტერატურო თხზულება, როგორც რთული ნაყოფი ხელოვნების მქნილებისა, არავითარს ყურადღების ღირსი რ არის. მაგრამ ჩვენის დარბის რეპერტუარისათვის „შოხეჭი“ ფრიად შესამატია. მს პიესა, ჩემის აზრით, ჩვენის სცენისათვის არის კარგი სათამაშო მასადა და სასარგებლოა აქტიორების ვარჯიშობისათვის სცენაზედ. პიესაში რომლებია, რომელთა თამაშობა შესაძ-

ლებელია და ფრიად სასარგებლოც. მშთავრესი როლი ამ პიესაში აქვს საფაროვის ქალს, რომელიც თამაშობს შოხეჭს, სტამბაში მომუშავე ბიქს. მს როლი მეტად მადლიანი მოთამაშესათვის. შოხეჭი არის პირიველი მომუშავე ბიქი; მას გულ-კეთილობა, სიყვარული და თავგანწირულობა მოძმეთათვის ხორცში და ძვალში აქვს გამჯდარი. იგი ღარიბია, მაგრამ მუდამ უშიშარი, პირმიმარი, მხიარული; ბზრიალას ათამაშებს, თუ წყალში ვარდება ბავშვის დასაცველად — იგი იცინის ერთგვარად. იგი მუდამ ქუჩაშია და არა გროვა ხალხს არ მოაკლდება, მუდამ გამზადებულია მონაწილეობა მიიღოს ყველაფერში, რაც კი რამ მოხდება. „შეა რად გინდოდო?“ ჰკითხამს შოხეჭს მისი და. — „რავიცი, იქნება რა მომხდარიყოო“, უპასუხებს შოხეჭი.

საფაროვის ქალი ძალიან კარგად

მედიკალი

ვეფხის ტყაოსანი.

(პირველი სხდომა მედიკალიზის, 6 თებერვალს)

ბევრი ხალხი დაესწრო, ქალი და კაცი, ამ პირველ სხდომას. თავს-მჯღომარე თ. ბრ. ღიმ. მრბელიანს გარდა, ლიტერატორებისა და მწერ-ლობის მოყვარეთა შორის, უნდა მოვიხსენიოთ: ილ. ბრ. ჭავჭავაძე, ნიკ. ტარ. ლადიანი, რაფ. ლავ. პრი-სთაი, დ. ღ. ჯორჯაძე, ს. ს. მესხი, ი. ს. ბოგებაშვილი, დ. მ. ლადიანი, არხიმანდრიტი ბრიგოლი, პ. ი. შმ. კა-შვილი, ი. ბ. მაჩაბელი, ვ. ს. მიქე-ლაძე, თ. შორდანი, ბ. იოსელიანი მახ. დ. თულაშვილი, ი. წინამძღვა-როვი, და მომავალი ჟურნალის „იმე-დის“ ახალი რედაქტორი მ. ბ. ბურ-გენიძე და სხვ.

ნესტან-ღარეჯნის სქესილამ დაეს-წრნენ და ვარიანტების კითხვაში მო-ნაწილეობა მიიღეს კნ. მლ. მად. ჭავჭავაძისა, მეთ. ირ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ, კნ. ნინო მრბელიანი-სამ, მკატ. ბაბაშვილისა და პ. შაიშვი-ლოვისამ. აქ ხსენებულთ გარდა, სხდომაში მოვიდა ბევრი ყმაწვილ-კაცობა, რომელთ შორის იყვნენ მო-სწავლეებიც. თ. აკაკი წერეთელი არ იყო სხდომაში და იმისი მოუსვლე-ლობა ბევრს გაუკვირა.

თავსმჯღომარის უკან, კედელზე, გაკრული იყო რუსთაველის სურათი, დახატული ალექსანდროვის ინსტი-ტუტის შავირდის მირიანაშვილისა-გან, რომელზედაც დიდი ხანი არ არის იყო ლაპარაკი „ღროებაში“.

სხდომის გახსნის შემდეგ, ამ სიტ-ყვების დამწერელმა მოახსენა ყრილო-ბას შემდეგი:

„წასრული წლის ღვინობისთვეში მოხდა პირველი ყრილობა ჩვენი მწერ-ლობის მოყვარეთა „ვეფხის ტყაო-სნის“ ხელ-ნაწერ ვარიანტების შესა-თანხმებლათ. იმ პირთა, რომელთაც დაიწყეს ეს საქმე ეგონათ, რომ შეი-

დი-რვა ხელ-ნაწერები, რომლებიც იმათ ხელთ ქონდათ, საკმაო იქნე-ბოდა საქმისთვის ხელ-მისაყოფლად; მაგრამ ყრილობამ სხვა ნაირათ გასა-ჯა და დაადგინა, რომ მიგვეწერა სოფელ-სოფელ, შეგვეკრიბა, რაც შე-იძლება უფრო ბევრი „ვეფხის ტყა-ოსნები“ და შემდეგ დაგვეწყო სა-ქმე.

„ამ საქმის მოთავთ ამორჩეულმა თავ. ბრიგოლ ღიმიტრის-ძე მრბე-ლიანმა მისწერა წერილები ოციოდე პირთ, რომელთადაც გვევლევებოდა ხელ-ნაწერი პოემა. ბაზეთმა „ღრო-ებაში“ მოგვცა შემწეობა უსასყიდლო განცხადების ბეჭდვით ამ საგანზე... მაგრამ, სამწუხაროთ, არ შეგვიძლია ეთქვათ, რომ საზოგადოებას დიდი ყურად-ღება არ აღმოგინოს ამ საქ-მისთვის. ზოგიერთა პირებმა, რო-გორც ნამდვილათ ვიცით, არ გამო-იმეტეს თავისი წიგნები; უმრავლეს-ობამ წერილის პასუხიც არ მოიწე-რეს. ნეტა თუ ამგვარი კრძალვითი შენახვა „ვეფხის ტყაოსნისა“ პოემის გარდამეტებული სიყვარულის გამო მაინც არის?!

„ღვეანდელი ყრილობა უნდა მომხდარიყო ორშაბათს, 12 იანვარს; მაგრამ იმ დროს სულ ცოტა წიგნე-ბი იყო და არც დღეს იქნებოდა და-ნიშნული ეს სხდომა, რომ ზოგიერ-თა წიგნების პატრონებს უკან არ დაეწყოთ თავიანთი წიგნების თხოვნა. ღა ამასთან ისიც უნდა ეთქვათ, გვე-შინოდა, რომ პირველი თანაგრძნო-ბა, რომელიც აღძრა საზოგადოებაში, ბევრის ღოდინის გამო, არ შემცირე-ბულ-იყო.

„ღღეს ხელათა გვაქვს ოც-ღა-ორი ხელ-ნაწერი. ეს წიგნები ეკუთვნის: მლისაბედ მავთარაძისას, თ. ღავით თუმანოვს, თ. ალექსანდრე თუმანოვს, ბატ. ძონსტანტინე მამაცოვს, თ. ბიგო მუხრანსკის, ბატ. ზაქარია ჭიჭინაძეს (სამი ეკვ.), თ. ალექსანდ-რა მელიქოვისას, ღიმიტრი ბაქრაძეს, მფრემ მარჯანიძეს, თ. ბეჟან წერე-თლის მემკვიდრეთ, თ. ნესტორ წე-

თამაშობს შოხეფის როლს. აქ ორი-ოდე რამ უნდა შენიშნო ამ თამა-შობის შესახებ, და იმედი მაქვს სა-ფაროვის ქალი მხედველობაში მიი-ღებს ამ ჩემს შენიშვნას, თუ დამე-თანხმება. პირველ გამოცემაში, რო-დესაც გაწუწული შემოიღებნს სცენა-ზედ ცოტა მეტად უნდა ცახკახებდეს სი-ცივისაგან და სახეზედაც ცოტა მეტი მოძრაობა უნდა ეტყობოდეს. ბარდა ამისა ღრამულ ადგილებში საფარო-ვის ქალი უფრო კითხულობს თავის როლს ვიდრე თამაშობს; ან ადგილას (პირველ მოქმედების ბოლოში) სა-ფაროვის ქალის ხმა ერთ-ფეროვანია, ხმისა და კილოს საკმაო აწვე-დაწვევა არ ეტყობა. მართალია, ეს პატეტი-კური ადგილი წმიდა მელოდრამულია და ჩემის აზრით სრულიად რომ არ ყოფილიყო პიესაში უფრო ემჯობე-ნებოდა; მაგრამ, რა გაეწყოება, რაც არის-არის. მოთამაშემ მაინც თავისი

უნდა გაიტანოს. ბარდა ამ ნაკლუ-ლოვანობისა, საფაროვის ქალის თა-მაშობა იყო ყოვლად ხელოვნური. აქნამეტნავად უნდა შენიშნო ის ადგი-ლი მეორე მოქმედებაში, სადაც შოხეფი დაფიქრებულია მახედ, თუ როგორ შეგახვედრო ჩემი და და ღენერალო, უტბად აზრი გაურბენს გუნებაში, დაიკვილებს: „ჰეე!“ და ფიცხლავ გა-ვარდება სცენიდან. სხვა აღარა არის რა საჭირო, მარტოკა ეს წუთიერი სცენა, მარტოკა ეს შეკვილა არის საკმარისი, რომ გაბედვით სთქვას კაცმა, რომ მის თვალ-წინ წამომდგა-რია ნამდვილი სააკტიორო ნიჭი. ეს არის ნამდვილი ნიჭიერი ხელოვნება, რომელსაც სრული ღონის-ძიება აქვს დაიპყროს და თან აიყოლოს მთელი მყურებელი საზოგადოება და არა, პირიქით თვითონ აპყვეს ამ საზოგა-დოებას.

ძარგად თამაშობდა აგრეთვე პოტე

რეთელს, იოსებ მერკვილაძეს, ნ. პო-რინთლისას, თ. რ ფიელ მრისთავს, თ. ბიორგი თუმანოვს; ალალო თუ-თავს, პეტრე შმიკაშვილს, ბატ. პე-ზელს და იონა მეუნარგიას (ერთი დაბეჭდილი „ვეფხის ტყაოსანი“, მის-გან შეთანხმებული პ. რიყის ნაციო-ნალური ბიბლიოთეკის საკუთარ ორ „ვეფხის ტყაოსნებთან“).

„ამ წიგნთაგან უძველესი ეკვმბ-ლიარი არის ნ. პორინთლისა; ის ეკუთვნის 1646 წელს. შემდეგ მო-დის თ. ბეჟან წერეთლის მემკვიდრეთ ეკვბლიარი 1671 წლისა; ამ დრო-ისვე უნდა იყოს ბატ. პეზელის „ვე-ფხის ტყაოსანი“. თ. ნესტორ წე-რეთლის ეკვბლიარი და მერკვილა-ძისა არიან მეთერთმეტე საუკუნის და-საწყისში დაწერილი, როგორცა სჩანს ნაწერის ხასიათიდან. სხვა წიგნები არიან დაწერილი იმ საუკუნის ბო-ლოს და ამ საუკუნეში.

„რაც შეეხება თითონ ვარიანტე-ბის ღირსებას, ერთის გადათვალიე-რებით. აი რა შევიჩინე: ეს წიგნები არიან გადმოწერილი: სამი—ნაწუხა სიციშვილისაგან გადაკეთებულის პო-ემიდან; ოთხი—ღარაძის მიერ პრტა-ნუჯით კერძო ნაპოვნე წიგნიდან; ხუთიოდე გადმოწერილია დაბეჭდი-ლის წიგნიდან და დანარჩენი კი სულ სხვა-და-სხვა გვარისანი.

„ამ წიგნებს გარდა ჩვენა გვაქვს: ერთი ეკვმბლიარი 1712 წელს დაბეჭდილი მახთანგ მეფისაგან; მეო-რე ბროსესაგან გამოცემული 1841 წელს; მესამე—პეტერბურლის გამო-ცემა 1860 წლისა, თფილისის გამო-ცემა 1867 წლისა და უკანასკნელი თფილისის გამოცემა 1875 წლისა. ამას გარდა გვაქვს ჟურნალს „ივერი-ში“ დაბეჭდილი ნაწუხა სიციშვილის დამატება ბატ. ძარბელაშვილის ვა-რიანტიდან.“

ამ მოხსენების შემდეგ, სანამ კი-თხვას შეუდგებოდნენ, რამდენიმე სი-ტყვა ითქვა იმაზე, თუ რა რიგით უნდა წაყვეანათ რედაქცია.

შიფიანი მოხუცებულ ღენერალს. იმა-ნაც გამოიჩინა თავისი ნიჭი მეტადრე იმ ადგილას, როდესაც ვანრისხებუ-ლი ადგებს სახლიდან თავის შვილს. მისი უკანასკნელი სიტყვა: „გამეცა-ლე!“ წარმოთქმულ იქმნა ნამდვილ ღრამულის კილოთი, რომელიც ასლად შეეფერება მამის აღშფოთებულს გულს. ღანარჩენი როლები შესანიშნავნი არ არიან. მას. აბაშიძემ გამოიჩინა საქე-ბი ზომიერება თამაშობაში.

ზაბუნას ქალი თამაშობდა დიდი-კაცის ცოლობას მაგრამ დიდი-კაცის ცოლობა სრულიად იმას არა ნიშნავს, რომ ძალიან გულადმა გადაწვეს კრეს-ლოზედ და წამ და უწუმ ატრიალოს ღორწეტი. ამ გვარად იქცევა მხო-ლოდ ის, რომელიც კრესლოშია ც იშვითად მჯდარა და ღორწეტის ხმარებასაც არ არის მიჩეული. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ზაბუ-

თავსმჯღომარემ სუტყა, რომ, რად-განაც მახთანგს, როგორც მეფეს შეეძ-ლო უკეთესი „ვეფხის ტყაოსნები“ ეშოვა და უკეთესი ვარიანტებიდამ დაებეჭდა პირველი გამოცემა პოემი-სა, ის უპირატესობას აძლევს მახთან-გის ვარიანტს. ძველათ სასახლეში ზეპირათ იცოდნენ „ვეფხის ტყაო-სანი.“

იღ. ჭავჭავაძე. პირ-ღა-პირ კითხვას შეუდგეთ და თითონ კითხვა დაგვა-ნახებს—რა ფასი რომელ გამოცემას ექნება.

გ. იოსელიანი. სანამ კითხვას შეუდ-გებოდეთ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ: რის-თვის ვკითხულობთ ხელთ-ნაწერებს, რა უნდა გექონდეს ჩვენ მიზნათ?

ი. მეუნარგია. ჩვენი მიზანი არის რუთველის ნამდვილი ტექსტის აღ-დგენა, ამ ვარიანტების შემწეობით.

გ. იოსელიანი. საჭიროა, რომ ამ ტექსტთან მოყვანილი იყოს ის ადგი-ლებიც, რომელნიც ტექსტათ არ იქნე-ბიან ნაცნობნი. ეს გამოსადეგი იქნება, როგორც ლიტერატურის მასალა.

ბ. უმიკაშვილი. საჭიროა, ამას გარ-და, წიგნს დაერთოს მცირე ლექსი-კონი და წიგნის განმარტება.

სხდომამ მოითხოვა, რომ დაეწყოთ კითხვა. ამის — გამო ოც-ღა-ორი ვეფხის-ტყაოსანი ჩამოურიგდა დამს-წრეთა და დაიწყეს კითხვა. საადგილ-მამულო ბანკის საათმა დაჭკრა ათის ნახევარი.

შრილობამ დაიწყო უკვდავის პოე-მაში „ობოლი მარგალიტის“ ძებნა უდიდესი თანამედროვე პოეტის ხელ-მძღვანელობით... მსეთია უძლეველი ძალა პოეტის გენიისა, რომელიც ექვსასი წელიწადი მეფობს ქართვე-ლების გონებაში.


თავადი რაფიელ ღავითის-ძე მრის-თავი კითხულობდა ბროსეს გამო-ცემას ხმა-მალლა და სხვები ადვენებდენ თვალს ხელ-ნაწერებს.

პირველი წერაქვი რედაქციისა მოხვდა ასო-ს. ნაცვლად ვეფხის-ტყა-ოსნისა, როგორც ხელ-ნაწერებიდამ

ნინას ქალს ამისთანა როლები ადსრუ-ლება არ შეეძლო; პირ იქით, ჩემის აზრით, შეუძლიან, მაგრამ საჭიროა დაკვირვება და შესწავლა.

შირიგო არ იყო არც ხეიძის ქა-ლი. საზოგადოდ „ქოსეფის“ წარმო-დგენა იყო რთული და თავიდან ბო-ლომდე ხეირიანად მოწყობილი.

მრთი სიტყვა კიდევ. სანატრელია, რომ აწიშიდამაც იყოს ამოღებული სიტყვა „კინტო“, როგორც ამოღე-ბულია პიესის უკანასკნელ სცენი-დან. მხლა შოხეფი აღარ ამბობს, როგორც პირველ წარმოდგენაში ამბობდა—„მე ვარ პირიველი კინ-ტო“. შოხეფისა და კინტოს (აქაუ-რის მნიშვნელობით) შორის არა ვითარი მხგავსება არ სუფევს.



აღმოჩნდა, უნდა იყოს მეფის-ტყაოსანი. მს სიტყვა თითონ თავ-მჯდომარემ ამჯობინა უწინდელურს.

მაშ ამას იქით, დაბეჭდილ წიგნებს მაინც მეფის-ტყაოსანი ერქმევათ, როგორც აბრამს ღვთის გამოცხადების შემდეგ აბრამი დაერქვა.

პირველ საღამოს მეფის-ტყაოსანი დამოაწირეს მხოლოდ შესავალის წაკითხვა. მს შესავალი შეიცავს ოცდათერთმეტ ხანას ამ ხანებში გასწორდა თორმეტი შეცდომა. მოგვყავს ყველა ეს გასწორება.

პირველს და ყოველს სხვა ხანებში, მეოთხე ტაეზზე გამოვდებულ იქნება კავშირი და, რადგანაც ამ კავშირით რუსთველის თექვსმეტ მარცვლიან ლექსს მეოთხე სტრიქონში ემატება მეჩვიდმეტე მარცვლი და რადგანაც ბევრს მეფის-ტყაოსანებში ეს კავშირი სრულებით გამოვდებულა.

მესამე ხანაში მესამე ტაეზი: მას, ან ვიცი, შეგვადრო...

ასე გასწორდა: მას ვით შეგვადრო, ან ვიცი...

მეხუთე ხანაში პირველი ტაეზი: მიბრძანეს მათადა სჯებრათ...

ბასწორდა: მიბრძანეს მათად სჯებრათ...

მეექვსე ხანაში მეორე ტაეზი: ძალი მომეც და შეწვესა შენგნით მაქს...

ბასწორდა: ძალი მომეც და შეწვესა, შენგან მაქს...

მეცხრე ხანაში მეოთხე ტაეზი: ... გესმისთ ჩემი ნაუბარი.

ბასწორდა: ... გესმას ჩემი ნაუბარი.

მეთერთმეტე ხანაში პირველი ტაეზი: ამა სჯემსა მიჯნურნი ნუ უხმობთ მიჯნურობასა

ბასწორდა: მეთუთხმეტე ხანაში მესამე ტაეზი: დაკუდღურდი მიჯნურთათვის...

ბასწორდა: დაკუდღურდი მიჯნურობით...

მეთორამეტე ხანაში „უწუნებდეს“ გასწორდა „უწუნობდეს“.

მეოცე ხანაში „მელექსეთა“ გასწორდა „მელექსესა“.

მეოცდახუთე ხანაში „აბრკმობდეს“ გასწორდა „აბრკმობდეს“.

მეოცდაექვსე ხანაში „ეს მიხანს“ გასწორდა „ესე მიხანს“.

მეოცდაშვიდე ხან. მეოთხე ტაეზი: ვინცა ეცდების თმობათა ქქონდეს...

ბასწორდა: ვინცა ეცდების, თმობამცა ქქონდეს...

მეოცდაცხრე ხანაში „არაბულითა ენითა“ გასწორდა „არაბულისა ენითა“.

ტექსტში ამაზე მეტი ცვლილება არა მომხდარა-რა.

რაც შეეხება სიტყვების განმარტებას და სხვა-და-სხვა ვარიანტების ადგილებს, რომლებიც ყურადღების ღირსნი იქნებიან, ისენი დაიბეჭდებიან, ან ტექსტის ქვემოთ ან წიგნის ბოლოს და ან სულ ცალკე წიგნათ.

მეთორმეტე საათი იყო, როცა ყრილობა დაიშალა.

იმედია, რომ მეორე სხდომისთვის უფრო ბევრი ხალხი მოვა საადგილმამულო ბანკში.

შემდეგი სხდომა დანიშნულია პარასკევს, 13 თებერვალს.

ი. მეუნაზვია.

P. S. ამ ანგარიშის წერა რომ გავათავებ; თელავიდან მოგვივიდა კნინა ნინო ივანეს ასულის შარლოვის მეფის ტყაოსანი.

ბანსხალეზანი

საგზაბათს; 17 თებერვალს
პართულის წარა-კითხვის გაგავრცელებული საზოგადოების სასარგებლოთ, თბილისის პრუფოკში იქნება გამართული

ბ ა ლ ი

ძალები ვალდებულნი არ არიან გულ-ამოჭრილი კაბით იყვნენ. ძაღლები კი უნდა მობრძანდნენ ან მუნდირით, ან ფრაკით და ან ნაციონალური ტანისამოსით.

ბილეთები ისყიდება საადგილ-მამულო ბანკში 10-დამ 2 საათამდინ, შვედრდვის ბაზეთის სააგენტოში და ბალის საღამოს „პრუფოკში“. 6—4

ინგლისის მაღაზიაში

თმის ანონ-სერე



ანონ-სერე

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გავზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ზომდა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკებოთაგის ტკივილის მოსასპობლად, ტუფ-ლეტის საზოანი, დუხები და სხვ. (150—37)

ახალი სტამბა

მოგსეს ვართანინანცისა და აძხ. განოვის ქუჩასზე, თ. ბუბუთოვის სას-ლებში ამ დღეებში გავაძე ასალი სტამბას სრული მოწოდებით და ვიდებ საკანს უფველ კნებზე როგორც გამრცდილი ამ სჯემში, მასკეს ვაგებ, რომ ნამდვილად და სინი-დისიანათ შეგასრულებს უფველ მოთხოვნილებას. (5—4)

ისყიდება ყოველ-გვარი თუჯისა და სპილენძის ნივთები გადასადრო-ბად — წმ. ბიორგის ეკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—14)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

გადართ ხვენი ხაი—1 მ. 10 კ.	მოსკოვის ხაის—1 მ. 40 კ.
— — — 1—20	— — — 1—60
— — — 1—40	— — — 1—80
— — — 1—60	— — — 2—
— — — 1—80	— — — 2—50
საუკეთესო—2—	— — — 3—

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, და-ნები, კოვებები, ტაშტები, კალმები, ქალაღი, შოკოლადი, კაკაო, კანფე-ტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირი-ბი, კლიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში, შინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-დამ 1000 მანეთამდინ საქონელს გა-მოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—94)

უფალაზად უფრო ბევრი საქონელი გავაზიის აქეთა მხარეში ინგლისის მა-ღაზიაშია, აწარუნის გადღეერეიაში: ღირს სასასავად.

ისყიდება საზამთრო მოსასურვავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თუფ-შები და მურაბები. 500,000 კლიტეები, ფადნსები და კაღები 30% უფრო იაფად, ვიდრე სდამე სსვავან. 20—4

ლონდონის მაღაზია გამოერეიული ბანკის ქვემ დაასრებულისა ნამდვილი ხაის გასასყიდლათ შირკელი მოგრეიფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-გალითებ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შო-კოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საზოანი-სა, შოკ კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქა-ღადლისა, კანანდაშებისა, კაღებისა, უნა-გრებისა, სუგრისისა (გემრიელი კლეშე-ვინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მა-კინტოშის მოსასურვავებს გასასყიდლად განუეტების და პატკურის და კამპ. მუ-რასისა, აგრეთვე ჩუღჭებისა და წინდე-ბისა ნოტინგამიადამ. ნამდვილი ქვავანს სიგარები. (100—24)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაყი მოი-მატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფა-სად, როგორც წინეთ იყო: კანგო-ხაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრეულ ვარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალაღლოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. ინგლისის მაღაზიაში. სააგენტო ბარსისის უნაგრების გასას-ყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკო-ლადისა და ეგსტრანქტისა კაკაო ღრავის,

რომელთაც დაიმსახურეს ზარბუის მოფ-ლიო გამოფენასზედ დასახლდა მსდნაი. გირვანქა არამატრეული ჩანასა ღამაზა ჩანისკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდას ბლამთ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონ-ტეუბები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—21

სოფლავში, ერეკლეს ქუჩასზე, შირზოვის (ხატისოვის) სას-ლებში, № 6 გაისნსა

თმლისა და ყვავილავის მაღაზია

აქვე ისყიდება ყოველი და მურნალავი რუსულს და სსვა კნებზე. (5—4)

ინგლისის მაღაზიაში ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლე-ბა ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფა-სა 1 მან. 50 კაპ. შევლა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვიდრე სსვავან. (20—11)

ვატმანისი უმრტავი

თმების-ოვის 1 მ. 50-დამ და ცხენე-ბისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდან; საძმევე 30 კაპ.; რუშკები 5 კ.-დამ; ფილტრე-ბი (წელის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გედრება 1 მან-დამ; თუფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფუტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლი-ურს მაღაზიაში. (100—92)

ტაშცია

საკვებზე სორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქ-ნებში და დატარებით ერთის თვის გან-მავლობაში, 1 თებერვლიდან 1 მარ-ტამდის.

ზამომცხვარი პური: ხორბლის ფქვი-ლის: პირველის ხარისხის—1 გირვ. 5 კ. მეორის „ — 1 გირ. 4 იმავე ფქვილიდან თორნეში გამო-მცხვარი: პირველის ხარისხის—1 გირვ. 6 კ. მეორის „ — 1 გირ. 4 1/2 ჯვარის-მამის პური: პირველის ხარის. ლავაში 1 გირ. 7 მეორის „ „ 1 გირ. 5 1/2 მესამის „ „ 1 გირ. 5 ძროხის ხორცი: პირველის ხარისხის— 1 გირ. 10 კ. მეორის „ — 1 გირ. 8. სუკი „ — 1 გირ. 17 ცხვრის ხორცი 1 გირ. 12 ლორის ხორცი: პირველი ხარისხის— 1 გირ. 12 მეორის „ — 1 გირ. 11 კ.

მს ტაქცია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილი-ის ბაზრებში და მადენებზე მოაქვსთ ხორავი გასასყიდლად.